ევროკავშირი საქართველოსთვის
EU4Justice

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
EMC
Human Rights Education and Monitoring Center

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმებლობის სისტემა

მართლმსაჯულების რეფორმის "მესამე ტალღის" ფარგლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის გაუმჯობესების კუთხით.

კანონმდებლობაში განხორციელებული დადებითი ცვლილებების მიუხედავად, ცვლილებების ამოქმედებიდან დღემდე, სხვადასხვა პროცესზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ კანონმდებლობაში განხორციელებულ პოზიტიურ ცვლილებებს, პრაქტიკაში ეფექტიანი აღსრულება არ მოჰყოლია. კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ხარვეზები და გამოწვევები ამ დრომდე რჩება, მათ შორის:

- დისციპლინური გადაცდომის სახეები კვლავ ზოგადი და ბუნდოვანია;
- დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გარანტიები გასაძლიერებელია;
- კვლავ თვალშისაცემია მკვეთრი სხვაობა დისციპლინური საჩივრების რაოდენობასა და მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის რაოდენობებს შორის. ამასთან, მზარდია შეწყვეტილი დისციპლინური სამართალწარმოებების რიცხვი;

საბჭოს მიერ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის და შეწყვეტილი დისციპლინური საქმეების რაოდენობა



სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება სრულად ხელმისაწვდომია: https://goo.gl/KkxrJ7. დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი"(EMC) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" (IDFI) და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

- დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის ვადების განსაზღვრის მიუხედავად, დღემდე ვადების დარღვევით მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება;

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, გამოქვეყნებული გადაწყვეტილებები ხასიათდება არაერთგვაროვნებით, ზოგიერთი გადაწყვეტილება ნაკლებად დასაბუთებულია, რამდენიმე გადაწყვეტილება კი საერთოდ დაუსაბუთებელი. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნები კი არ არის ხელმისაწვდომი;

- დღემდე, არცერთ მოსამართლეს არ უსარგებლია დისციპლინური სხდომის გასაჯაროების უფლებით;

- დღემდე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არცერთ წევრს არ დაუფიქსირებია განსხვავებული აზრი საბჭოს მიერ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტასთან დაკავშირებით;

- კანონმდებლობაში არ არის განსაზღვრული მტკიცებულებათა რელევანტურობის და დასაშვებობის საკითხი დისციპლინური სამართალწარმოების საწყის ეტაპზე.

დისციპლინური საჩივრების რაოდენობა 2017-2018წ.



სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება სრულად ხელმისაწვდომია: https://goo.gl/KkxrJ7. დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“(EMC) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას:

- მნიშვნელოვანია სასამართლო რეფორმის "მეოთხე ტალღის" ფარგლებში შემუშავებული მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული კანონპროექტი დაიხვეწოს და დროულად წარედგინოს პარლამენტს;

- დისციპლინური გადაცდომის სახეები უნდა ითვალისწინებდეს პასუხისმგებლობას მოსამართლის ქმედებისთვის, რომელიც ნათლად ჩამოყალიბებულ სამართლის ნორმას ეწინააღმდეგება და რომელთან დაკავშირებითაც არ არსებობს ბუნდოვანება. ამასთან, სახეზე უნდა იყოს მოსამართლის მხრიდან ცხადი და დამაჯერებელი არაკეთილსინდისიერება და ადამიანის უფლებების უპატივცემულობა, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია („legal error plus"). აღნიშნულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, დისციპლინური პასუხისმგებლობა დადგეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, შეცდომის დაშვების დადასტურებისას (სადაც ასეთი არსებობს);

- დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის გასაძლიერებლად, დაიხვეწოს მისი თანამდებობაზე არჩევისა და გათავისუფლების წესი. კანონმდებლობით განისაზღვროს მისი თანამდებობრივი სარგო და გაიზარდოს მისი უფლებამოსილებები;

- განისაზღვროს ინფორმაციის შეფასების და საქმის მსვლელობისთვის საჭირო ნათელი სტანდარტი და მტკიცებულებათა ერთობლიობის ხარისხი;

- მნიშვნელოვანია, დამოუკიდებელ ინსპექტორს დაევალოს მის მიერ მომზადებული დასკვნების გამოქვეყნება მხარეთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაფარვით;

- კანონით განისაზღვროს ინსპექტორის ვალდებულება, გარკვეული პერიოდულობით გამოაქვეყნოს სტატისტიკური ინფორმაცია დისციპლინურ სამართალწარმოებაზე;

- მნიშვნელოვანია საბჭოს მიერ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებისთვის განისაზღვროს გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტი;

- სადისციპლინო კოლეგიის მიერ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო გახდეს კოლეგიის საერთო შემადგენლობის უმრავლესობის ხმები.

სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება სრულად ხელმისაწვდომია: https://goo.gl/KkxrJ7. დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი"(EMC) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" (IDFI) და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.